



პროკრედიტ ეკო

მდგრადი მომწოდებლები

www.procreditbank.ge

საინფორმაციო ბროშურა, 2021 წ / II კვ

პროდუქტის/მომსახურების მომწოდებლების უფრო მდგრადი ჯაჭვური მენეჯმენტი ფინანსური მომსახურების საქტორში

როდესაც საქმე მინოდების ჯაჭვურ მენეჯმენტს ეხება ამ კუთხით ფინანსური სექტორი მონინავე რიგში არ დგას, მიუხედავად ამისა, გარემოსა და სოციალურ საკითხებზე ზემოქმედება ხშირ შემთხვევაში არაპირდაპირი გზით ხდება - ანუ საქონლისა და მომსახურების მომწოდებლებისა და კლიენტების მიერ. გაეროს გლობალური შეთანხმება მოუწოდებს პროდუქტის/სერვისის მიმღებ კომპანიებს, გაითვალისწინონ თავიანთი როლი საზოგადოებაში და შეისწავლონ რისი გავლენა შეუძლიათ მათ მომწოდებლების მხარდასაჭერად კორპორატიული მდგრადობის თვალსაზრისით. აღნიშნულმა კი შესაძლოა საგრძნობლად გაზარდოს კომპანიების პოზიტიური გავლენა ადამიანებსა და გარემოზე.

გაეროს გლობალური შეთანხმების პრინციპები შეესაბამება ჩვენს საკუთარ პრინციპებსა და ღირებულებებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია ქცევის კოდექსში (დამატებითი ინფორმაციისთვის დააჭირეთ ფოტოს). პროკრედიტში ქცევის კოდექსი ბრენდის იდენტურობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და პასუხისმგებლიანი საბანკო ჯგუფის ღირებულებებს ასახავს. აღნიშნული გვაძლავს მსგავსი კრიტერიუმებით ხელმძღვანელობას მომწოდებლების შეფასებისა და შერჩევისას.



როგორ უწყობს ხელს პროკრედიტ ჯგუფი მინოდების უფრო მდგრად ჯაჭვს?

2021 წლის მარტში ევროკავშირის პარლამენტმა ახალი კანონი შემოიღო, რომელიც სთხოვს კომპანიებს პატივი სცენ ადამიანის უფლებებსა და გარემოსდაცვით სტანდარტებს მათ მთელ ფასეულობათა ჯაჭვში. ჩვენი ჯგუფის სახელმძღვანელო მითითებები მდგრადი მომწოდებლების შესახებ წარმოადგენს პროაქტიულ მიდგომას მინოდების ჯაჭვის პასუხისმგებლობის მართვის მიმართ და უპირატესობას ანიჭებს განსაკუთრებით მდგრად მომწოდებლებს.

რატომ?



იმითომ რომ პროკრედიტს მტკიცედ სჯერა, რომ მდგრადობა პასუხისმგებლობიანი საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელია. ჩვენ ყველა მომწოდებელს სტრატეგიულ პარტნიორად მოვიზარებთ, რომლებსაც გარემოს და სოციალურ საკითხებზე შეუძლიათ, როგორც ნეგატიური ასევე პოზიტიური ზეგავლენა იქონიონ. სწორედ ამიტომ, თითოეული პროკრედიტ ბანკი მუდმივად ცდილობს გაზარდოს მდგრადი პროდუქტი/მომსახურების მომწოდებელთა რაოდენობა, რომლებთანაც თანამშრომლობს.

2019 წელს, პროკრედიტმა ჯგუფის მასშტაბით წამოიწყო პროექტი, მინოდების ჯაჭვისა და მომწოდებლების მდგრადობის გასაანალიზებლად. პროექტით განვსაზღვრეთ "მდგრადი" მომწოდებლების კრიტერიუმები.

¹ BSR (2015), მინოდების ჯაჭვის მდგრადობა ფინანსურ სექტორში, BSR_ფინანსური_სექტორი_მინოდება-ჯაჭვი_მდგრადობა_2015 PDF
² გაეროს გლობალური შეთანხმება, მომარაგების ჯაჭვის მდგრადობა, https://d306pr3pise04h.cloudfront.net/docs/issueS_DOC%2FSupply_chAIN%2FSupplyChainRep_spread.pdf

PCG–სთან კონტრაქტით გათვალისწინებულ ყველა ოფიციალურ მომწოდებელს ვთხოვეთ ხელი მოეწერათ შესაბამისობის დეკლარაციის ფორმაზე, რომელიც ასახავს მინიმალურ სტანდარტებს იმ მომწოდებლებისთვის, რომლებთანაც ჩვენ მზად ვართ ვიმუშაოთ. უფრო მეტიც, იმის გასაგებად, თუ რა დამატებითი ნაბიჯები შეიძლება გადაიდგას მდგრადობის გასაუმჯობესებლად, 2020 წელს ყველა ინსტიტუტმა ჩაატარა მდგრადობის ანალიზი, რომელიც ამ მინიმალურ სტანდარტებს სცილდებოდა.

მომწოდებელთა ჯაჭვით ჩვენ არამარტო მინიმუმამდე დაგვყავს უარყოფითი გავლენა გარემოზე, არამედ ვაძლიერებთ პარტნიორობას ჩვენს ორგანიზაციასა და მომწოდებლებს შორის, საერთო ღირებულებებისა და პრინციპების გაზიარებით. შემდეგი გრაფიკა ასახავს პროცესებს, რომლებსაც მდგრადი მომწოდებლების შერჩევისას ვიყენებთ.

მიმწოდებლების ზოგადი ანალიზი

აქვამინდელი მომწოდებლების მდგრადობის ანალიზი

მომარაგების ჯაჭვში მდგრადობის ზრდა




- წლიური შესყიდვების მოცულობა ნებისმიერი პროდუქტის მომსახურების მომწოდებლისგან მინიმუმ 1000 ევროს ოდენობით
- შექმნილი პროდუქტი / მომსახურება
- სახელმწიფო ურთიერთობა

- ყველა სახელმწიფო მომწოდებელმა ხელ უნდა მოაწეროს მიმწოდებლის დეკლარაციის ფორმას

- არცერთი მიმწოდებელი არ შეიძლება შეფასდეს, როგორც მდგრადი, თუ მედიის სანდო წყაროები აცხადებენ, რომ მათ აქვთ გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების შესრულების არასწორი პრაქტიკა

- ზოგიერთი დადებითი კრიტერიუმი, რომელსაც ჩვენ ვეძებთ მომწოდებლებში, არის:
- სურთიფიცირებული გარემოსდაცვითი მართვის სისტემა
 - პროდუქტების შესაბამისობა პროკრედიტის მწვანე დაფინანსების კრიტერიუმებთან
 - ეკოლოგიურად ან / და სოციალურად სურთიფიცირებული ან რეგიონალური პროდუქტები
 - ენერჯის / რესურსების მდგრადი გამოყენება
 - ნარჩენების სათანადო მართვა
 - პროდუქციის განთავსება ხელმეორედ გამოსაყენებელ/ გადამუშავებად კონტეინერებში
 - CSR³ ვალდებულება
 - შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის⁴ სტანდარტებთან შესაბამისობა

გრაფიკი 1 - PCG- ის ჩართვის პროცესი მომწოდებლისთვის



ჩვენი მომწოდებლების შესახებ ჩატარებულმა ანალიზმა 2020 წელს აჩვენა, რომ ჯგუფის მიერ გამოყენებული 642 მომწოდებლიდან (როგორც ეს განსაზღვრულია ჯგუფის სახელმძღვანელო მითითებებში), ერთი მესამედი მდგრადია (იხ. სურათი 2). პროკრედიტი განსაკუთრებით მკაცრად თანამშრომლობს მდგრად მომწოდებლებთან ნარჩენების მართვისა და გადამუშავების სფეროებში (100%), სამშენებლო მომსახურებაში (73%), სანავაგსა და ენერჯიაში (71%) და ობიექტების დასუფთავების მომსახურებაში (56%) (იხ. სურათი 3).


გრაფიკი 2 - PCG- ს მდგრადი მომწოდებლების საერთო წილი

³ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა

⁴ შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია; ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტები, თანაბარი შესაძლებლობები და მკურნალობა

აღნიშნული გვიჩვენებს, რომ ჩვენს მთავარ მომწოდებლებს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით მდგრადობაში. მიუხედავად ამისა, ვხედავთ მომსახურების გაუმჯობესების დიდ პოტენციალს, სადაც განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მომწოდებლები გვყავს. ეს განსაკუთრებით ეხება თანამშრომელთა სამუშაო პირობებს (ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, თანაბარი შესაძლებლობები და მკურნალობა ყველასთვის). იგივე ეხება ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მომწოდებლებს, რადგან ჩვენ სულ უფრო მეტ ინვესტიციას ვახორციელებთ გაციფრულებაში.

მომწოდებლების რაოდენობა



ეს მონაცემები განახლებულია PCB გერმანიისა და PCB სერბეთისთვის, ამიტომ არ არის იგივე, რაც მოცემულია 2020 წლის ზემოქმედების მოხსენებაში

გრაფიკი 3 - მდგრადი მომწოდებლების წილი პროდუქტის ან მომსახურების მიხედვით



იცით თუ არა, რომ

მომწოდებლის ჯაჭვის მიერ მდგრადი მართვის სისტემების გამოყენებით, პროკრედიტი სარგებელს ღებულობს სხვადასხვა მიმართულებებით⁶:

- ხარჯისა და ნარჩენების შემცირება
- სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველყოფა
- სტაბილური ბიზნეს გარემოს შექმნა
- პროცესის ეფექტურობა
- რესურსების უკეთესი მენეჯმენტი მაგ. ნედლეულის, ტექნოლოგიისა და ენერჯიის გამოყენება



⁵ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

⁶ UN Global Compact (2015), მხარი დაუჭირე შენს SME მომწოდებლებს, https://d306pr3pise04h.cloudfront.net/docs/issues_doc%2Fsupply_chain%2FSMEsinSupplyChain.pdf

პროკრედიტ ბანკი, საქართველო

პროკრედიტ ბანკ საქართველოს მიერ პროდუქტი/მომსახურების მომწოდებლების შეფასება და ანალიზის პროცესი 2020 წლის ბოლოს განხორციელდა. შევაფასეთ ყველა მომწოდებელი, რომელთანაც აქტიური ხელშეკრულება გვქონდა და წლიური შესყიდვების რაოდენობა 1000 ევროს აღემატებოდა. შეფასება განხორციელდა კომპანიის წარმომადგენლებთან კომუნიკაციით და მათ მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. მომწოდებელთა შეფასების ეტაპზე გამოყენებულ იქნა შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც პროკრედიტ ჯგუფის მიერ აღიარებულია, როგორც მდგრადი მომწოდებლის განსაზღვრის აუცილებელი პირობა.

არსებული მომწოდებლების შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროკრედიტ ბანკი, საქართველოს 72 პროდუქტი/მომსახურების მომწოდებელიდან, 72% მდგრადი მომწოდებელია და ისინი თანხვედრაში არიან ჯგუფის მიერ განსაზღვრულ შეფასების სტრატეგიასთან. 20 მომწოდებელს, რომელიც ვერ აკმაყოფილებს კრიტერიუმს, არ გააჩნია მდგრადად განვითარების გეგმა. მსგავსი ტიპის მომწოდებლებთან თანამშრომლობის გაგრძელება ვეღარ მოხდება, თუ კომპანიების მხრიდან გაუმჯობესების მხრივ კონკრეტული ქმედებების განხორციელება არ იგეგმება.

ზემოთ აღნიშნული მიდგომა ახალი მომწოდებლების შერჩევის პროცესზეც ვრცელდება და გულისხმობს ტენდერში მონაწილე ყველა კომპანიის გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის შეფასებას და მათგან საუკეთესოს შერჩევას. ჩვენ მუდმივად ვადევნებთ თვალყურს საქართველოს ბაზარზე კომპანიების მხრიდან მდგრადი ბიზნეს მოდელის დანერგვასა და განვითარებასთან დაკავშირებულ სიახლეებს და მხარს ვუჭერთ მათ მდგრადი ბიზნეს მოდელის დაფინანსებაში, რადგან ასეთი კომპანიების არსებობა ჩვენთვის ყველა ასპექტში მნიშვნელოვანია.